გაკვეთილი გეგმა

მასწავლებელი	იამზე ქათამაშვილი
საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა
თემა	არსებითი სახელი – „სიტყვა-საგნის სახელი; სულიერი და უსულო საგნები“.
სწავლების საფეხური	დაწყებითი საფეხური, IIგ კლასი
მოსწავლეთა პროფილი	25 მოსწავლე არცერთი მოსწავლე არ საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომას
გაკვეთილის მიზანი	✓ მოსწავლემ შეძლოს ირგვლივ არსებული საგნების კლასიფიცირება რამდენიმე ნიშნით(ცხოველი; ფრინველი; ადამიანი;) ✓ გააცნობიეროს და განასხვაოს სულიერი და უსულო საგნები; ასევე სიტყვათა გროვიდან შეძლოს გამოარჩიოს სულიერი ან უსულო საგანი.
ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორი	**ქართ. II. 3. მოსწავლეს შეუძლია აქტიური ლექსიკისა და ძირითადი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● აღწერს და ახასიათებს ნაცნობ საგანს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით; **ქართ. II. 4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს; ● ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს. **ქართ. II. 13. მოსწავლეს შეუძლია ნაწერის გასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● კითხულობს საკუთარ ნაწერს ხმამაღლა და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს; ● ამოიწერს მასწავლებლის მიერ ჩასწორებულ ფორმებს ან მთლიან წინადადებას. **ის ტექნ. I.4. მოსწავლეს შეუძლია კომუნიკაციის ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: იყენებს კომუნიკაციის საშუალებებს მასწავლებლის მიერ ჩატარებული აქტივობისას;
საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები	✓ მოსწავლე ცნობს ირგვლივ არსებულ საგნებს და ასახელებს; აქვს გარკვეული წარმოდგენა თითოეულ საგანზე ან საგანთა ჯგუფზე; შეუძლია საგნების დაჯგუფება გარკვეული ნიშნის მიხედვით. ✓ შეუძლია კომპიუტერის ძირითადი პრინციპების დემონსტრირება (კომპიუტერის ჩართვა, გადატვირთვა, გამორთვა); ✓ მოსწავლეს შეუძლია როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილში და ჯგუფში მუშაობა.

შეფასების საგანი და პროცედურები	**შეფასების ტიპი – განმავითარებელი** კრიტერიუმები: ✓ ჩართულობა; ✓ მოსმენის უნარი; ✓ მიღებული ინფორმაციის სწორად დამახსოვრების უნარი; **შეფასება ინდივიდუალური და წყვილებში.** ვლეებს შევაფასებ ინდივიდუალურად და წყვილებში დამოუკიდებელი სამუშაოს შედეგებისა და საგაკვეთილო პროცესში გამოჩენილი აქტიურობის მიხედვით. შესაფასებლად გამოვიყენებ „სმაილებს“. „ვარსკვლავებს“, „გულებს“, სიტყვიერ კომენტარს... ✓ მაღალი შეფასება – აქტიურობდა კითხვებზე პასუხის გაცემისას, დამოუკიდებელი სამუშაო წყვილში შეასრულა უშეცდომოდ. ✓ საშუალო შეფასება – აქტიურობდა კითხვებზე პასუხის გაცემისას, წყვილში დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას დაუშვა ერთი შეცდომა. ✓ დაბალი შეფასება – მეტ-ნაკლებად აქტიურობდა, მაგრამ გაუძნელდა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება. ✓ წყვილებში მუშაობა შეფასდება სიტყვიერი კომენტარით და
საკლასო მენეჯმენტი და საგანმანათლებლო რესურსი	✓ მუშაობა მთელ კლასთან; მუშაობა წყვილებში და ინდივიდუალურად. ✓ მასწავლებლის ბუკი, მოსწავლის 25 ბუკი, „Power Point“- ის ფორმატით გაკეთებული საპრეზენტაციო ფაილი **-„სიტყავ-საგნის სახელი, სულიერი და უსულო საგნები“**. დაფა, ცარცი, ბარათებზე დაწერილი სიტყვები, სამუშაო რვეულები, ფერადი ფანქრები და კალმები.
გაკვეთილის მსვლელობა (აქტივობა,დრო)	**მოტივაცია: (2 წთ.)** ვესალმები, ვქმნი საგაკვეთილო განწყობას. ვაგვარებ საორგანიზაციო საკითხებს, ვაცნობ გაკვეთილის თემასა და მიზნებს **აქტივობა N1: რა არის სიტყვა?** *(იხ. დან.1)* **(5წთ)** წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით შევთავაზე შემდეგი აქტივობა: ვიდრე ახალ მასალას შევისწავლიდეთ, დავფიქრდეთ – **რა არის სიტყვა.** ამ კითხვას, რომ სწორი პასუხი გავცეთ, ჩვენ ერთი სახალისო დავალება უნდა შევასრულოთ. თქვენ გაქვთ ფურცლები, ყურადღებით წაიკითხეთ და გადახაზეთ ყველა ის ნაწერი, რომელიც არ არის სიტყვა, ამისთვის გაქვთ 5 წთ. ახლა ყურადღებით შევხედოთ დაფას, მასზე მოცემულია ორი სვეტი, ერთს აწერია **სიტყვა**, მეორეს – **არ არის სიტყვა.** შევავსოთ ეს ცხრილი (მოსწავლეები მკარნახობენ, მე ვავსებ). ჩვენ გვაქვს ორი ჩამონათვალი, და რა განსხვავებაა მათ შორის? ✓ **სიტყვები** რაღაცას ნიშნავს, სხვადასხვა საგნებია, სახელებია;

	✓ მეორე სვეტში მოცემული ნაწერები კი არაფერი არ არის, არაფერს არ ნიშნავს. **ე.ი. სიტყვას აქვს თავის მნიშვნელობა, თავისი შინაარსი. (3წთ)** **სიღრმისეული წვდომა** (ახალი მასალის ახსნა) **(10წთ)** მასალის ახსნისას გამოვიყენე „Power Point“- ის ფორმატით შექმნილი ელექტრონული რესურსი. კლასის მართვის პროგრამის საშუალებით ეკრანის გაზიარების მეთოდით ბავშვებს წარვუდგინე საპრეზენტაციო ფაილი. რესურსი შინაარსობრივად შედგება ორი ნაწილისაგან, რომელშიც მონაცვლეობით არის განთავსებული ასახსნელი მასალა და დავალებები. ჩვენს ირგვლივ უამრავი საგანია და ყოველ მათგანს აქვს თავისი სახელი. ვუჩვენებ სლაიდებსN6-N7, ვეუბნები სწორად შეურჩიონ თითოეულს საგანს თავისი აღმნიშვნელი სიტყვა. მოსწავლეები ასახელებენ თითოეული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას(მასწავლებელი, გოგონა, ფანქრები, რვეული, ჩიტი, გლობუსი და ა.შ) დასახელებული სიტყვის შემდეგ იწერება სწორი პასუხი. მოსწავლეებს აქტიურობისთვის და დავალების კარგად შესრულებისთვის ვაქებ. კიდევ ერთხელ ვახსენებ, რომ თითოეული სიტყვა რაიმე საგანს აღნიშნავს(სლაიდიN9) და გადავდივარ ასახსნელი მასალის ძირითად საკითხზე: ეს საგნები შეიძლება დავაჯგუფოთ გარკვეული ნიშნის მიხედვით და ვთავაზობ, თავად მოიფიქრონ დაჯგუფების ნიშნები. მოსწავლეები დაასახელებენ რამდენიმე ნიშანს, ვცდილობ თავად მიხვდნენ, რომ საგანი შეიძლება იყოს სულიერი და უსულო. სულიერი საგანია, რომელიც თავისით მოძრაობს, მოსწავლეები თავად ასახელებენ ასეთ საგნებს(ბავშვი, დედა, პეპელა, კურდღელი და ა.შ. სლაიდიN10). უსულოა საგანი, რომელსაც თავისით მოძრაობა არ შეუძლია და ვასახელებთ უსულო საგნებს(ბურთი, წიგნი, სოკო, მანქანა და ა.შ. სლაიდიN11) ახალი მასალის უკეთ გაგების მიზნით რამდენიმე საკონტროლო კითხვას ვსვამ: 1. დაასახელეთ ჩვენს გარშემო არსებული სულიერი საგნები. 2. დაასახელეთ ჩვენს გარშემო არსებული უსულო საგნები. **წუთშესვენება, ვარჯიში განტვირთვისთვის** **აქტივობა N2:** ვასახელებ სულიერ და უსულო საგნებს და ბავშვებს ვაძლევ სიტყვიერ მითითებას სწრაფად წამოდგნენ სკამიდან ისეთი საგნის დასახელებისას, რომელიც სულიერ საგანს აღნიშნავს. **(3 წთ)** **გამთლიანების ფაზა (ახალი მასალის განმტკიცება - რეფლექსია)** **აქტივობა N3:** თემის უკეთ გასააზრებლად, მოცემულია დავალებები: (15წთ) **დავალება1**. ანდაზებიდან მათ სხვადასხვა ფერის ფანქრით უნდა ამოიწერონ სულიერი და უსულო საგნები-სლაიდი N13.

	მოსწავლეებმა წყვილებში უნდა ამოიწერონ წითელი ფერის ფანქრით სულიერი არსებითი სახელები, ხოლო მწვანე ფერის ფანქრით უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელები, ერთმანეთთან შეათანხმონ თავიაანთი პასუხი და შეამოწმონ მომდევნო სლაიდზეN14 გამოსახულ პასუხთან. **დავალება2**. წარმოდგენილ სიტყვათა მიმდევრობაში უნდა გადახაზონ ზეტმეტი სიტყვა. (ვაწვდი ინსტრუქციას – სულიერ საგნების აღმნიშვნელი სიტყვების ჩამონათვალში ერთი უსულო საგნის აღმნიშვნელი სიტყვაა, ან უსულო საგნების აღმნიშვნელ სიტყვებში სულიერი საგნის აღმნიშვნელი სიტყვა)–სლაიდიN15. ეს დავალებაც მოსწავლეებმა წყვილებში უნდა შეასრულონ, გადაიწერონ სიტყვათა გროვები და ხაზი გაუსვან ზედმეტ სიტყვას. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ მუშაობას, ეკრანზე გამოჩნდება სლაიდიN16 სწორი პასუხებით. ბავშვები საკუთარი ნამუშევრების სისწორეს ამოწმებენ ეკრანიდან. **(15 წთ)** **საშინაო დავალება** მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად ვაძლევ საშინაო დავალებას. თავად მოიფიქრონ წინადადებები, სადაც სულიერი და უსულო საგნის აღმნიშვნელი სიტყვები იქნება გამოყენებული. სულიერი საგნის აღმნიშვენელ სიტყვას ერტი ხაზი გაუსვან, უსულოს – ორი. **(2წთ)** **ასება** **ობა N4.** ჩატარებული სამუშაოს შეფასება და თვითშეფასება **(5 წთ)** ✓ რა მოეწონათ ყველაზე მეტად გაკვეთილის მსვლელობისას? ✓ შეაფასონ საკუთარი თავი; ✓ რა აქტივობას დამატებდნენ? შევაფასებ მოსწავლეებს და გადავცემ შესაბამის სტიკერს.

დანართი N1.